მოწვევა
ინტერესთა გამოხატვაზე

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, საახალწლო დეკორაციებით, ტერმინალის ზონების მოწყობის თაობაზე

* * * * * *

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" გამოყოფს ტერმინალის ზონებს, საახალწლო დეკორაციების მოწყობის მიზნით და იწვევს დაინტერესებულ პირებს, წარმოადგინონ შეთავაზება სივრცეების თემატური და ვიზუალური გაფორმების მიზნით. ასევე შესაძლებელია, გაფორმებასთან ერთად, განხილულ იქნას ახალი წლის თემატიკასთან დაკავშირებული, მგზავრზე ორიენტირებული დამატებითი აქტივობებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, გამოხატოს ინტერესი, დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, საახალწლო დეკორაციებით, ტერმინალის ზონების მოწყობის თაობაზე.

ყველა შეკითხვა უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
business@airports.ge

დაინტერესებული პირის მიერ განცხადება წარმოდგენული უნდა იქნას ელექტრონული სახით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე : business@airports.ge;

გამოქვეყნების თარიღი: 30 ოქტომბერი,2024 წელი

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ტერმინალის სპეციალურად გამოყოფილი ზონების საახალწლო დეკორაციებით მოწყობის პირობები

2024 წელი

შესავალი

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ წარმოადგენს საქართველოში არსებული სამი ადგილობრივი და ორი საერთაშორისო აეროპორტის მესაკუთრეს და ამავდროულად ახორციელებს სამი ადგილობრივი აეროპორტისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირებას. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ მუდმივად ზრუნავს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრზე მორგებული უსაფრთხო, კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნაზე. წინამდებარე შეთავაზების მიზანსაც საახალწლო დღეებში მგზავრებისათვის დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი, სასიამოვნო გარემოს შექმნა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ცნობადობის გაზრდა წარმოადგენს.

ტერმინების განმარტება:

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა, თუ კონტექსტიდან ან პირდაპირი მითითებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

- „აეროპორტების გაერთიანება“ – შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (ს/კ 404 389 693);
- „აეროპორტი“– დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
- „დაინტერესებული პირი“ - ფიზიკური ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი/პირთა ჯგუფი, რომელიც წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის საფუძველზე, წერილობით დააფიქსირებს მოთხოვნას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სპეციალურად გამოყოფილ ზონებში საახალწლო დეკორაციების მოწყობის თაობაზე.
- სპეციალურად გამოყოფილი ზონა - „აეროპორტების გაერთიანების“ მიერ გამოყოფილი „აეროპორტის“ ტერმინალის ზონა, სადაც „შერჩეულმა პირმა“ უნდა მოაწყოს საახალწლო დეკორაცია.
- „შერჩეული პირი“--ფიზიკური ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი/პირთა ჯგუფი, რომელიც წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის საფუძველზე, მოიპოვებს უფლებამოსილებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის სპეციალურად გამოყოფილი ზონების საახალწლო დეკორაციებით მოწყობის თაობაზე.

1. **საახალწლო დეკორაციების მოწყობის ზონები**

1.1 "აეროპორტში" საახალწლო დეკორაციების მოწყობის მიზნით, გამოიყოფა ოთხი „სპეციალურად გამოყოფილი ზონა":

1.1.1 **გაფრენის დარბაზის კონტროლირებადი ტერიტორია** - უსაფრთხოების კონტროლის სივრცე, პასპორტკონტროლის შემდგომ, გეითების მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით;

1.1.2 **მოფრენის დარბაზის კონტროლირებადი ტერიტორია** - პასპორტ კონტროლის სივრციდან ბარგის გაცემის ზონის ჩათვლით;

1.1.3 **ტერმინალის საერთო სივრცე, არასარეჟიმო** ტერიტორია - გაფრენის დარბაზის არასარეჟიმო ტერიტორია (სარეგისტრაციო სივრცე); მოფრენის დარბაზის არასარეჟიმო სივრცე.

1.1.4 ტერმინალის გარე სივრცე.

2. **საახალწლო დეკორაციის მოწყობის თაობაზე წინადადების წარდგენის წესი**

2.1. "აეროპორტების გაერთიანებისთვის", საახალწლო დეკორაციის მოწყობის თაობაზე, განცხადებით მიმართვა შესაძლებელია არაუგვიანეს 2024 წლის 13 ნოემბრის 00:00 საათამდე ვადაში.

2.2. საახალწლო დეკორაციის მოწყობაზე დაინტერესებულმა პირმა, "აეროპორტების გაერთიანებას" შესაბამისი წინადადებით უნდა მიმართოს წერილობითი განცხადების ფორმით;

2.3. „დაინტერესებული პირი" უფლებამოსილია „აეროპორტების გაერთიანებას" განცხადებით მიმართოს ერთდროულად, წინამდებარე პირობების 1.1. პუნქტით გამოყოფილი ერთზე მეტი "სპეციალურად გამოყოფილი ზონის" მოწყობის მოთხოვნით.

2.4. "დაინტერესებული პირი" ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს:

2.4.1 შეთავაზება პრეზენტაციის სახით, ასევე რენდერი. საჭიროების შესაბამისად, ნახაზი და განსათავსებელი კომპონენტების ტექნიკური მახასაითებლები, შესაბამისი ზომებით;

2.4.2 სივრცის მოწყობისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი;

2.5. "დაინტერესებული პირი" ვალდებულია განცხადება წარმოადგინოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: business@airports.ge. განცხადება მიღებულად ჩაითვლება "აეროპორტების გაერთიანების" მიერ ელექტრონული ფოსტის მიღების დადასტურების შემდეგ.

2.6. "შერჩეული პირი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ლიცენზირებული აუდიტის მიერ დადასტურებული დეტალური ხარჯთაღრიცხვა.

2.7. "შერჩეული პირი" ვალდებულია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული აუდირებული კომპანიის / პირის მიერ დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა.

3 შერჩევის წესი

3.1. ტერმინალის ერთი ზონისთვის მოხდება მხოლოდ ერთი კომპანიის შერჩევა.

3.2. წარმოდგენილი განცხადებები შეფასდება „აეროპორტების გაერთიანების“ მიერ, წინამდებარე პირობების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ, „სპეციალურად გამოყოფილ ზონებზე“ ცალ-ცალკე, კომისიური წესით, წინამდებარე პირობების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დასრულებიდან, 5 სამუშაო დღის ვადაში. წარმოდგენილი განცხადებების შეფასებისა და შერჩევისათვის გამოყოფილია კრიტერიუმები, რომელთა მიმართებითაც „აეროპორტების გაერთიანებას“ წინასწარ განსაზღვრული აქვს მაქსიმალური მისანიჭებელი ქულა, ჯამში, 100 ქულის ფარგლებში.

3.3. შერჩევის კრიტერიუმებია:

3.4. კრეატიულობა და დიზაინი - 40 ქულა ;

3.5. აეროპორტის ბრენდის ეფექტური ინტეგრაცია დეკორაციებში - 35 ქულა;

3.6. მგზავრზე ორიენტირებული დამატებითი აქტივობები - 25 ქულა.;

3.7. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, წინამდებარე პირობების 3.3. პუნქტით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული „სპეციალურად გამოფილი ზონის“ მოწყობასთან დაკავშირებული წინადადებების განხილვისას, კომისიის თითოეულმა წევრმა, თითოეულ პოზიციაზე, მაქსიმალური ქულა უნდა მიანიჭოს იმ „დაინტერესებულ პირს“ რომლის წარდგენილი განცხადებაც კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებით, სხვა დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განცხადებასთან შედარებით უკეთესია. აღნიშულის შემდეგ, დაჯამდება თითოეული „დაინტერესებული პირისათვის“ მინიჭებული ქულები და „შერჩეულ პირად“ გამოცხადდება ყველაზე მეტი ქულის მფლობელი „დაინტერესებული პირი“, რის შემდეგაც „შერჩეულ პირთან“ წინამდებარე შეთავაზებით გათვალისწინებული პირობებით ფორმდება ხელშეკრულება.

3.8. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ „დაინტერესებულ პირს“ წარმოდგენილი აქვს რამდენიმე განცხადება, ერთზე მეტი „სპეციალურად გამოყოფილი“ ზონების“ მოწყობის თაობაზე, წინამდებარე პირობების 2.3. ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი განცხადება განიხილება თითოეულ ზონასთან მიმართებით, მიუხედავად იმისა შერჩეულია თუ არა აღნიშნული პირი უკვე განხილული, სხვა სპეციალურად მოწყობილი ზონის მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი „დაინტერესებული პირი“ შესაძლოა შეირჩეს წინამდებარე პირობების 1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე „სპეციალური გამოყოფილი ზონის“ მოწობასთან დაკავშირებით.

3.9. იმ შემთხვევაში, თუ კომისიური წესით შერჩევის შედეგად, წინამდებარე პირობების 1.1. პუნქტით გამოყოფილი ერთი ან რამდენიმე ზონა დარჩება აუთვისებელი, დაინტერესებულ პირებს ენიჭებათ უფლებამოსილება, გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში, მიმართონ „აეროპორტების გაერთიანებას“ აუთვისებელი ზონების საახალწლო დეკორაციებით მოწყობის წინადადებით. ასეთ შემთხვევაში, დაცული უნდა იქნას წინამდებარე პირობების 2.4. პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

4 საახალწლო დეკორაციის მოწყობის პირობები

4.1. საახალწლო დეკორაციის მოწყობასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმდება სპონსორობის თაობაზე შეთანხმება, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრება „შერჩეული პირის“ მიერ მოსაწყობი სივრცე და დეკორაცია, რომლითაც აღნიშნული სივრცე უნდა იქნას მოწყობილი, ასევე, „აეროპორტსა“ და „შერჩეულ პირს“ შორის თანამშრომლობის (სპონსორობის) ფარგლები.

4.2. დეკორაციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2024 წლის 15 დეკემბრისა. „შერჩეული პირი“ ვალდებულია დეკორაციები განთავსებული ჰქონდეს 1 თვის ვადით, 2025 წლის 15 იანვრამდე,ხოლო დემონტაჟი უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2025 წლის 17 იანვარისა. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, დემონტაჟის დასრულების შემდეგ, „შერჩეული პირი“ ვალდეულია „აეროპორტის“ ტერიტორია დააბრუნოს პირვანდელ მდგომარეობაში, კერძოდ, გაათავისუფლოს მისი კუთვნილი მოძრავი ქონებისაგან (გამოყენებული დეკორაცია და სხვა).

4.3. „შერჩეულმა პირმა“ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული სივრცე უნდა მოაწყოს თემატური საახალწლო დეკორაციებით, რომლის ნაწილიც შესაძლებელია ასევე დაეთმოს მის ბრენდთან ასოცირებულ საახალწლო დეკორაციას. მნიშვნელოვანია სივრცის მოწყობისას მოხდეს ასევე „აეროპორტის“ ბრენდის იტეგრირებაც დეკორაციაში.

4.4. „შერჩეული პირი“ ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სივრცე მოაწყოს აეროპორტთან შეთანხმებული დიაზინის შესაბამისად. მას არა აქვს უფლება, წინამდებარე შეთავაზების საფუძველზე მიღებული უფლება, „აეროპორტების გაერთიანების“ წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს სხვა პირს.

4.5. წინამდებარე პიროებების შესაბამისად, „აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, „შერჩეული პირი“ ვალდებულია დაემორჩილოს საავიაციო უშიშროების სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. საკუთარი სახსრებით გაიაროს შესაბამისი სწავლება საავიაციო უშიშროების ნორმების დაცვის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების საშვი. საეჭვო პირის, საგნის, ნივთის, ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საავიაციო უშიშროების სამსახურს.

4.6. „შერჩეული პირი“ უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების ნორმებს.

4.7. „შერჩეული პირი“ ვალდებულია აეროპორტის სპეციალურად გამოყოფილი ზონების საახალწლო დეკორაციებით მოწყობის სამუშაოები აწარმოოს იმგვარად, რომ „აეროპორტს“ ხელი არ შეეშალოს ოპერირებაში.

4.8. „აეროპორტის“ ოპერირების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, „შერჩეული პირი“ ვალდებულია „აეროპორტის“ სპეციალურად გამოყოფილი ზონების საახალწლო დეკორაციების მოწყობისას, გაითვალისწინოს „აეროპორტების გაერთიანების“ მითითებები.

დანართები:

დანართი N1: “აეროპორტის” ტერმინალის სქემატური ნახაზი ზონების მიხედვით;
დანართი N2: “აეროპორტის” ტერმინალის სპეციალურად გამოყოფილი ზონების ამსახველი ფოტოსურათები;
დანართი N3: “აეროპორტის” სქემატური ნახაზი (dwg)
დანართი N4: “აეოროპორტის” ლოგო;
დანართი N5: “აეროპორტების გაერთიანების” ლოგო